გაკვეთილის თემა –
სეზონები. თბილი სიტყვების შემგროვებლები

ავტორი თამთა დოლიძე

გაზაფხული გაღვიძების სეზონია. ის დროა, ყველა სითბოს მარცვალი თბილი ქვეყნებიდან მერცხლებთან ერთად რომ ბრუნდება, ღვივდება და იბარტყებს. წელს ძალიან დააგვიანდა გაზაფხულს. თოვლიან თებერვალს ასეთივე ცივი მარტი მოჰყვა. დიდი ქალაქის ბინადრები აპრილის შემოსვლასაც ვერ ვგრძნობთ, თუ უბნის პატარა სკვერში არ გვეგულება, ვთქვათ, ატმის პატარა ხე, რომელსაც პერიოდულად ვაკითხავთ გაზაფხულის გამოჭერის იმედით. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, ისეთ ადგილას ვმუშაობ, სადაც გაზაფხული ვერაფრით გამოგეპარება. შეხვალ ზამთრულად მობუზული სკოლის ეზოში, შენობის კედელთან ატუზული ტყე კი ენძელებით ან ყოჩივარდებით ხელში შემოგეგებება. ჰაერიც თბილი წვიმით და ნედლი ყლორტ-ბალახების სურნელით გაჟღენთილა და ნაზამთრალი სითბოსა და სიმსუბუქის შეგრძნებით გავსებს.

ერთ დღესაც, მოსწავლეებმა გაზაფხულის პირველი თაიგული რომ დამახვედრეს მაგიდასთან, ზამთართან გამომშვიდობება გადავწყვიტე და „თბილი სიტყვების დღე“ მოვაწყვე. „საჩხრეკ“ მასალად რევაზ ინანიშვილის „ბედნიერება“ მოვიმარჯვე. ჯერ ბავშვებს ვთხოვე, გაეხსენებინათ მინიმუმ ერთი მიზეზი, რის გამოც, თავი ბედნიერად უგრძვნიათ. შემდეგ დახუჭული თვალებით მოგზაურობის დრო დადგა. ჩემი მოსწავლეები ბედნიერ მოგონებებში დაბრუნებას და მონატრებულ ადამიანებთან ჩახუტებული თუ პირველი თოვლის დანახვით თვალებგაბრწყინებული საკუთარი თავის დანახვას შეეცადნენ. ის, რისი აღდგენაც მეხსიერების ფოტოფირმა შეძლო, ფურცელზე შეძლებისდაგვარად გადმოხატეს და „ბედნიერების სკივრში“ შეინახეს. ბრჭყვიალა ემოციებით აღჭურვილები, მწერლისეულ სითბოში შევიყუჟეთ და მისი აივნის წინ ჩამწკრივებული სახლების, ხეების, ვენახების თუ ნაოჭებში ნისლჩამდგარი მთის იქით გადახვეწილი ქეჩოაჯაგრული განწყობები ბედნიერი სიტყვების ქვეყანაში შემოვასახლეთ.

„მართლა რა არის ეს ბედნიერება, ასე ხშირად რომ ვნატრობთ? ალბათ სითბოსავით კარგი რაღაც, არა?!“

წავიკითხეთ. ერთხანს გავყუჩდით... მერე გადავწყვიტეთ, ჩვენ-ჩვენი „ღუდღუდა“ მოგონებების მოთხრობად ქცევა გვეცადა. მაგალითი ხომ უნდა მიმეცა?! ჰოდა, მოვხსენი პირი წარსულის გუდას და მოსწავლეებს ბავშვობის ჭერქვეშ გამოზამთრებული თბილზე თბილი ამბები გავუზიარე:

დაახლოებით შვიდი-რვა წლისა ვიქნებოდი, ხის ჰატარა ფიცრულ ქოხში მოწყობილ კლუბში ჩემი პირველი ფილმის „ზიტა და გიტა“ სანახავად რომ წამიყვანეს. წარმოდგენა არ მაქვს, ნაომარი, ჩაბნელებული და დამშეული ქვეყნის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში რა გზებით ჩამოაღწია ინდოეთმა. თუმცა მაშინ მსგავსი კითხვები ჯერ არ მაწუხებდა. ჩუმად ვიჯექი ხის გაურანდავ „ჯორკოზე“, გაფართოებული თვალებით შევცქეროდი უცნაურად მოცეკვავე გამოსახულებებს და თავი ყველაზე საოცარი მოვლენის მონაწილე მეგონა. ეს გრძელი გზაც, მეზობელი სოფლისაკენ და უკან, უფროს გოგო-ბიჭებს ადევნებულმა, ჩუმი ხვნეშით, მაგრამ დიდური სიამაყით გავიარე.

მეხსიერების კინოლენტას პატარა აღმოჩენებით გამოწვეული ბედნიერების არაერთი ნათელი კადრი შემოუნახავს. ერთ-ერთ მათგანზე ისევ ზემოაღნიშნულ სოფელში ვარ და ხევის წყლის მოვლა-პატრონობას მთელ ჩემს ბავშვურ დროსა და ენერგიას ვახარჯავ. პატარებს ხომ გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, გაცილებით იდუმალი და ვრცელი ეჩვენებათ. მეც ჩემი სოფლის „უზარმაზარი“ ეზოს დალაშქვრა არასდროს მბეზრდებოდა და ყოველთვის აღმოვაჩენდი-ხოლმე ისეთ ადგილს ან მოვლენას, რომელიც მხოლოდ ჩემი იყო. მაგალითად, ბლის ხეს, რომელიც ათობით ხეებს შორის გამოვარჩიე, რადგან ტოტების განლაგება მასზე აძრომას მიადვილებდა, თან კარგი ჩრდილიც ჰქონდა და ზაფხულის ცხელ დღეებს სასიამოვნოდ მიგრილებდა... შემდეგ კადრში ხელში თოხი მიჭირავს და ეზოს ბოლოში ჩამომავალი პატარა ღელის კალაპოტს ვაფართოვებ, შლამისა და ათასი ჯურის ნაგვისგან ვწმენდ. ეს ის დროა, საკუთარ მდინარეზე ოცნებამ წყლის „მოშინაურება“ რომ გადამაწყვეტინა. ჯერ გუბეების ტბად ქცევა ვცადე, შემდეგ ღელისპირის გაფართოება დავიწყე. თუმცა, წვიმების სეზონს თუ არ ჩავთვლით, წყალი ისევ კოჭამდე მწვდებოდა და სასიამოვნოდ მიგრილებდა თითქმის ჩემსიმაღლე თოხის ქნევით დახეთქილ ხელისგულებს.

კიდევ ერთი კადრი, რომელიც ბავშვობის თბილი მოგონებების საცავში მეგულება და მათბობს, გაგიკვირდებათ და, ჰურის რიგს უკავშირდება. ოღონდ ქალაქურს კი არა, ისევ ჩემი ბავშვობის სოფლისას, პატარა საცხობის კართან ათას საინტერესო ისტორიად რომ იწერებოდა. ხანდაზმულები მეორე მსოფლიო ომის ამბებს იხსენებდნენ, აი ისეთებს, ვერც ერთ წიგნში რომ ვერ ნახავ, რადგან ვინმე რიგითი ბესარიონის იარები და შთაბეჭდილებები დიდი მსოფლიოსთვის ერთ პატარა უმნიშვნელო მოგონებას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, მსმენელებს არც თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების განხილვა-გაქილიკების გარეშე გვტოვებდნენ. ამ თანაზიარ მოგონებებში გამოჭერილი ნათელი წარსულითა და ჯერ კიდევ ბუნდოვანი მომავლის იმედით გამთბარი ახალგაზრდები, „ჯიმი, ჯიმი, აჯა, აჯას“ ღიღინით ველოდით ჩვენს წილ „ჰურს ჩვენი არსობისას“.

სადაცაა გაიღება ის ხის საღებავგახუნებული პატარა კარი და გამოვარდება დალოცვილი, ჟრუანტელის მომგვრელი სურნელი, რომელიც ბევრად მეტია, ვიდრე საზრდო. სწორედ ეს სურნელია იმედი იმისა, რომ ამ პატარა, ლამფის შუქით განათებულ სოფელში ხვალაც აუცილებლად გათენდება.

ამ ჯადოსნური დღის დასასრულს რამდენიმე მყუდრო, მოსაფრთხილებელი სიტყვის „გაცოცხლებაც“ შევძელით. ჯერ იმაზე დავფიქრდით, თუ რომელი სიტყვა-ცნება გვაბედნიერებს ყველაზე მეტად, რის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება. შემდეგ პატარა მოგზაურობა მოვაწყვეთ კალიგრაფთა სამყაროში და ნამდვილი „სიტყვის მხატვრების“ ნამუშევრები დავათვალიერეთ. ბოლოს კი ჩვენი რჩეული სიტყვების კალიგრაფიული ნიმუშები შევქმენით.